



ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის მიმოხილვა

საბაზისო კვლევა

1 დეკემბერი 2015
(განახლებულია 2016 წლის 1 მარტს)

შინაარსი

რეზიუმე	3
რეკომენდაციები	8
მეთოდოლოგია	9
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა	11
ყაზბეგის მოსახლეობის დემოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა	13
ყაზბეგის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები და კანონმდებლობა	16
ეკონომიკური აქტივობები ყაზბეგში	19
სახელმწიფო და კერძო სერვისები ყაზბეგში	23
დანართი 1: ყაზბეგის რაიონის სოციო-ეკონომიკური კვლევა (კითხვარი)	28
დანართი 2: ყაზბეგის მოსახლეობის და კომლების რაოდენობა სხვადასხვა წყაროების მიხედვით	31

რეზიუმე

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მის განვითარებაში წვლილის შეტანის ნებისმიერი მსურველისთვის რთულ რელიეფს წარმოადგენს. არც თუ ისე შორეულ წარსულში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მდგომარეობის საგრძნობლად მესუსტების და ეკონომიკურად პროდუქტიული ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გადინების შემდეგ, ახლა, როგორც ჩანს, მდგომარეობა გაუმჯობესებისკენ მიდის. ტურისტული ბუმის შედეგად უმჯობესდება ინფრასტრუქტურაც და, ზოგადად, მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობაც. თუმცა, ყაზბეგში მაინც მნიშვნელოვანი განსხვავებებია სტეფანწმინდასა და დანარჩენ სოფლებს შორის განვითარების და ეკონომიკური ზრდის სიკეთეების გადანაწილების კუთხით. შესაბამისად, რეგიონის განვითარებისკენ მიმართული ნებისმიერი ძალისხმევა ორ ძირითად მიზანს უნდა ისახავდეს: რეგიონში ბუნებრივი ბაზრის მზარდი გაუმჯობესებების წახალისება და მხარდაჭერა და მიღებული სარგებლის რაც შეიძლება მეტად გადანაწილებამოსახლეობაზე.

არსებული კვლევა მიზნად ისახავს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია ყაზბეგში ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (LAG) განვითარებასა და მხარდაჭერაზე. ეს ჯგუფი თავს მოუყრის ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტების განხილვის და ისეთი პროექტების წამოწყების მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების გაძლიერებას.

ყაზბეგის საბაზისო კვლევა დაიწყო 2015 წლის აგვისტოში და მისი მიზანი იყო ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფისთვის საწყისი სამუშაო მიმართულებების მიცემაში დასახმარებლად პროექტისთვის საბაზისო მონაცემების უზრუნველყოფა და ადგილობრივი გარემოს მიმოხილვა. ამ კვლევაში ჩართულმა მკვლევართა ჯგუფმა ასევე ჩაატარა მორეკვლევა, ტურიზმის სექტორში. ხოლო ორგანიზაცია ელკანამ - სოფლის მეურნეობის შესახებ. შესაბამისად, მიმდინარე საბაზისო კვლევა არ უღრმავდება ტურიზმის და სოფლის მეურნეობის საკითხებს, რადგან ისინი უკვე სხვა ანგარიშებშია დეტალურად მიმოხილული.

კვლევა აერთიანებს ყაზბეგის შესახებ არსებული მასალების ანალიზს, მათ შორის სახელმწიფო უწყებების მონაცემებს. თუმცა, კვლევა ძირითადად ეყრდნობა ყაზბეგში დაახლოებით 1500 მაცხოვრებელი კომლიდან 380 კომლში ჩატარებულ გამოკითხვას. კვლევამ მოიცვა მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება (გარდა კობის და გუდაურის საკრებულოებისა, რომლებსაც მომდევნო ანგარიშებში დავფარავთ) და ისეთი საკითხები, როგორცაა დემოგრაფია, დასაქმება, ადგილმდებარეობის სეზონურობა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება. სავლელ სამუშაოები მიმდინარეობდა 2015 წლის 22 ოქტომბერიდან 17 ნოემბრის ჩათვლით. ინტერვიუებში იყვნენ ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრები, რომლებსაც შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარდათ. გარდა ამისა, ჩვენ ასევე გაკეთებული გვაქვს ტურიზმის კვლევა, რომლის ფარგლებშიც

გამოკითხულ იქნა დაახლოებით 60 ბიზნესი ჰოსპიტალურ სექტორში. კვლევა არ მოიცავს გუდაურს, რომელზეც ინდივიდუალური კვლევა დაგეგმილია 2016 წელს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 6 საკრებულოდ: ყაზბეგი, გორისციხე, სიონი, სნო, კობი და გუდაური. ოფიციალურად, მთელ მუნიციპალიტეტში არის 47 სოფელი, თუმცა მხოლოდ 25 მათგანს ჰყავს მუდმივი მოსახლეობა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, სტეფანწმინდა, თბილისიდან 150 კილომეტრითაა დაშორებული, დაახლოებით 2.5-3 საათის გზაზე. ასევე 12 კილომეტრის, ანუ 10 წუთის გზაზე რუსეთის საზღვრიდან და 45 კილომეტრის, ანუ დაახლოებით 1 საათის გზაზე (საზღვრის გადაკვეთისთვის საჭირო დროის გამოკლებით) ვლადიკავკაზიდან, რომელიც ჩრდილო ოსეთის რეგიონალურ დედაქალაქს წარმოადგენს.

უკანასკნელ წლებში რეგიონში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტრუქტურული ცვლილება გზების გაუმჯობესებაა. ყაზბეგი დაკავშირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ გზატკეცილთან და თბილისთან "სამხედრო გზით," რომელიც რუსეთის საზღვარს კვეთს 136-ე კილომეტრზე. თუკი თბილისიდან ყაზბეგისკენ მიმავალი გზის 2/3, ანუ გუდაურამდე, უკვე დიდი ხანია მისაღებ მდგომარეობაშია, გუდაურსა და სტეფანწმინდას შორის დამაკავშირებელი გზა სულ რამდენიმე წლის წინ შეაკეთეს საფუძვლიანად. უკანასკნელ ხანებში მგზავრობა უფრო მეტად მარტივი და ხანმოკლე გახდა, რამაც, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ტურიზმში მიღწეულ წარმატებებთან ერთად, მოახდინა რეგიონის ტურისტული ბუმის სტიმულირება.

ამან, თავის მხრივ, გამოიწვია მოსახლეობის დიდი რაოდენობის რეგიონში დაბრუნება ტურისტული ბიზნესის დაწყების მიზნით და ხელი შეუწყო მაღალი კლასის ქართული სასტუმროების ქსელის, რუმსის მშენებლობას. ამ ორმა ფაქტორმა მნიშვნელოვანი აქტივობა გამოიწვია, ხოლო სასტუმრო რუმსმა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს 1 მილიონი ლარი მოუტანა მხოლოდ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული გადასახადით.

თუმცა, ყაზბეგში ბიზნესის წამოსაწყებად დაბრუნებული მოსახლეობა ჩართულია ისეთ საქმიანობებში, რომლებიც უმეტესად მხოლოდ სეზონურ ხასიათს ატარებს. სხვადასხვა გამოცდილების მქონე უამრავმა ადმიანმა, რომელთაც კვლევის ფარგლებში ვესაუბრეთ, გვითხრა, რომ ზამთარში ყაზბეგის მოსახლეობის დაახლოებით 40% ტოვებს რეგიონს და მათი ძირითადი ნაწილი თბილისში მიდის. თუმცა, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს რიცხვი შეიძლება გადაჭარბებული იყოს (და ამ საკითხის დაზუსტებადამატებით კვლევას საჭიროებს). მიგრაცია მეტწილად ეხება ახალგაზრდა მოსახლეობას, რომელიც უნივერსიტეტში სწავლობს და, ასევე, ახალგაზრდა მშობლებს, რომლებიც შვილებისთვის უკეთესი სკოლების პოვნის მიზნით თბილისისკენ მიემართებიან.

თუკი შევხედავთ მთლიანად მუნიციპალიტეტს (გუდაურის გამოკლებით), აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ ყაზბეგს ახასიათებს განსხვავები ცენტრსა და სოფლებს შორის. ცენტრის (სტეფანწმინდა და გერგეტი) მოსახლეობის 1/3-ის

მიხედვით, მათგანაჩნათ საკუთარი ბიზნესი (ძირითადად, ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული). ასევე, მაღალია ფორმალური დასაქმების მაჩვენებლებიც. თუმცა, სოფლებში შემოსავლისძირითად წყაროსნაკლებად პროდუქტიული სოფლის მეურნეობა და სოციალური დახმარება წარმოადგენს. სტეფანწმინდა და გერგეტი ასევე ხასიათდებიან მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვით -- მთელი ყაზბეგის 1500 კომლიანი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი სწორედ აქ ცხოვრობს.

ისევე, როგორც სხვა მაღალმთიან დასახლებებში, სადაც ახალგაზრდა მაცხოვრებლების გადინების მაჩვენებელი მაღალია, ყაზბეგის ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებით 25% იღებს სახელმწიფო პენსიას (შედარებისთვის, ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის მხოლოდ 15% იღებს პენსიას). შინამეურნეობების დაახლოებით 30% იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას (TSA), რომელიც ოჯახის ფინანსური საჭიროებების მიხედვით გაცივმა. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ეროვნულ მაჩვენებელზე, რომელიც 12%-ს შეადგენს, რაც ნაწილობრივ უსვამს ხაზს რეგიონის შედარებით სიღარიბეს. თუმცა, ეს ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარებისკრიტერიუმები მნიშვნელოვან წონას ანიჭებს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას. ყაზბეგში შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე მოსახლეობის რაოდენობა დაბალია, მაგრამ წარსული კვლევების საფუძველზე ვიცით, რომ ეს მაჩვენებელი შეიძლება საგრძნობლად მეტი იყოს, რადგანპრაქტიკულად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდამჭერი მექანიზმები ქვეყანაში არ არის განვითარებული.

ყაზბეგისზრდასრული მოსახლეობის 45%-ს ფლობს უმაღლეს განათლებას, ხოლო 29% - პროფესიულ განათლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის მხოლოდ 1/4 არ ფლობს სკოლის-შემდგომ განათლებას.

2015 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რომელიც ყაზბეგსაც მოიცავს. ახალ კანონს შეუძლია საგრძნობი სტიმული მისცეს ადგილობრივ განვითარებას. კანონის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ოჯახს 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული ბავშვზე ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ლარი გადაეცემა. მესამე და ყოველი მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში დახმარება 200 ალრამდე გაიზრდება. კანონი ასევე ითვალისწინებს მაღალმთიან რეგიონებში არსებული სკოლების საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადებისგან გათავისუფლებას და მათი დახმარების გაზრდას. ასევე, 2016 წლის სექტემბერში ძალაში შედის დამატებითი პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონში ექიმებისა და მასწავლებლების ხელფასების ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის გათბობისა და ელექტროენერჯის გადასახადების ნაწილობრივ უზრუნველყოფას.

რეგიონული განვითარების გეგმები გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერითდაიწერა მცხეთა-მთიანეთისთვის. თუმცა, კონკრეტულად ყაზბეგზე

დეტალური ინფორმაცია ამ დოკუმენტში არ არის. ამჟამად, გაეროს განვითარების პროგრამა ამუშავებს ინდივიდუალურ განვითარების გეგმებს ქვეყნის მასშტაბით 22 მუნიციპალიტეტისთვის. ამავდროულად, გაეროს განვითარების პროგრამა ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ავითარებს მუნიციპალური ბიუჯეტების შემუშავების ახალ სისტემას. ბიუჯეტების შემუშავებას საჯარო კონსულტაციები დასჭირდება, რაც შესაძლებლობას ქმნის ყაზბეგის ადგილობრივი ჯგუფისთვის (LAG) აქტიურად ჩაერთოს ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, ყაზბეგის მოსახლეობის 57% თავს „დაუსაქმებლად“ მიიჩნევს, რაც არც ისე ცუდი მაჩვენებელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. შედარებისთვის, დემოკრატიის ეროვნული ინსტიტუტის (NDI) სხვადასხვა თემებზე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული რეგულარული გამოკითხვების მიხედვით, მხოლოდ 33%-მა განაცხადა, რომ სამსახური აქვს.

ყაზბეგში დასაქმებულების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებად სამსახურებში -- 26% დასაქმებულია სახელმწიფოს მიერ (ძირითადად, მასწავლებლებად) და მხოლოდ 17% არის დასაქმებული ბიზნეს სექტორში. ეს უბრალოდ შეიძლება ასახავდეს ყაზბეგის მოსახლეობის მცირე რაოდენობას და იმ ფაქტს, რომ ძირითადი სახელმწიფო სერვისების მიწოდება საჭიროებს მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას სხვა სექტორებთან შედარებით. ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, ხუთი ყველაზე მსხვილი დასაქმებლის სია მოიცავს სკოლებს და საბავშვო ბაღებს, საგანგებო დახმარების სამსახურს, სასტუმრო რუმსს, ჰიდროელექტრო სადგურს და სასაზღვრო პოლიციას. ეს ასევე მიანიშნებს იმაზე, რომ მაღალმთიანი რეგიონების შესახებ ახალი კანონით გათვალისწინებული მასწავლებლების ხელფასის ზრდას შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ყაზბეგზე.

ეკონომიკური აქტივობის და ეკონომიკური შესაძლებლობის მიმოხილვიდან არაერთგვაროვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ერთის მხრივ, დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით, ორგანიზაციების მხოლოდ მცირე რაოდენობა ახდენს სრულ განაკვეთზე დასაქმებას, რაც სამწუხაროა, რადგან მრავალი სხვა კვლევიდან ვიცით, რომ დასაქმების ძირითად მიზანს სრულ განაკვეთზე დასაქმების მიღწევა წარმოადგენს. თუმცა, ასევე ვიცით, რომ ეს არ არის უჩვეულო. კვლევების მიხედვით, საქართველოს სოფლის მოსახლეობაშია, როგორც წესი, მხოლოდ 20%-ია კერძო სექტორში დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურზე.

თუმცა, თვითდასაქმება ყაზბეგში საგრძნობლად იზრდება, განსაკუთრებით კი სტეფანწმინდასა და გერგეტში. სტეფანწმინდის გამოკითხული 36%-ის მიხედვით, მათ გააჩნიათ ბიზნესი, ძირითადად საოჯახო ტიპის სასტუმრო ან მძღოლის სერვისი. ამასთან, შინამეურნეობათა 46%-ს აქვს სესხი, ძირითადად ბიზნესების გასაფართოებლად, სახლის შესაკეთებლად ან 4x4 ავტომობილის შესაძენად.

სახელმწიფო და საჯარო სერვისები

ბოლო წლებში ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯების საგრძნობლად გაიზარდა. 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი 3.85 მილიონი ლარი იყო, 2014 წლის ბიუჯეტმა

6.08 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2015-2016 წლებში თითქმის 7 მილიონი ლარი შეადგინა. 2014 წელს ზრდის დიდი ნაწილი დაიხარჯა „კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე.“ როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა სოფელ სნოში საპატრიარქოს რეზიდენციის მიმდებარედ სასტუმროს მშენებლობისთვის. ეს მშენებლობა ჯერ-ჯერობითა რ დასრულებულა. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ განათლებაზე გამოყოფილი დანახარჯი გაორმაგდა (იგულისხმება სკოლამდელი განათლება), მაგრამ გარემოსთანდაცვასთან დაკავშირებული დანახარჯი განახევრდა.

მიწის რეგისტრაცია კვლავ პრობლემად რჩება ყაზბეგში, ისევე როგორც მთელ საქართველოში. მიწათმფლობელების მცირე ნაწილს აქვს საკადასტრო რეესტრში სათანადოდ დარეგისტრირებული საკუთარი მიწა. თუმცა ეს ძვირი ჯდება. ეს ქმნის გაურკვევლობას როგორც კერძო, ისე კომუნალურ მიწასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ახლა რამე სახის სერიოზული პრობლემა არ არის, ამ გაურკვევლობამ შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას მომავალში.

სტეფანწმინდაში ხელმისაწვდომია სახელმწიფო და სხვა სახის სერვისების უმრავლესობა, მათ შორის თვით-მმართველობის ორგანოები, პოლიცია, საავადმყოფო, სახანძრო, რამდენიმე სკოლა და საბავშვო ბაღი. ასევე, იუსტიციის სამინისტრომ ცოტა ხნის წინდაასრულა იუსტიციის სახლის მშენებლობა, რითაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის 200-ზე მეტი სახელმწიფო სერვისი გახდა ხელმისაწვდომი ერთ ადგილზე, რაც ადმოფხვრის სერვისების მიღების მიზნით თბილისში მგზავრობის საჭიროებას. შიდა ტრანსპორტირება პრობლემატური რჩება, მაგრამ სტეფანწმინდიდან მეზობელ სოფლებამდე დღეში ერთხელ დადის ავტობუსი. ქალაქში არის სოკარის ბენზოგასამართი სადგური, მაგრამ არ არის დიდი სუპერმარკეტი გუდაურისგან განსხვავებით, სადაც არის სუპერმარკეტი “სმარტი“. ყაზბეგში ასევე არ არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომწოდებელი.

ამ სერვისების უზრუნველყოფაც განსხვავდება მუნიციპალიტეტის ცენტრსა და მოშორებულ სოფლებს შორის. ინტერნეტის მოწოდება სტეფანწმინდაში ზოგადად კარგია, მაგრამ ცენტრიდან მოშორებით უარესდება, ხოლო ზოგიერთ სოფელში მობილური კავშირიც კი არ არის სანდო. ცენტრიდან მოშორებით მაღაზიები იშვიათად გვხვდება და გზები გაცილებით უარეს მდგომარეობაშია. შედეგად, ჩვენი გამოკითხვის საფუძველზე, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ავთიაქები და სოფლისგზები წარმოადგენს.

ასევე პრობლემებია სკოლებთან მიმართებაშიც, განსაკუთრებით, ცენტრიდან მოშორებით. 25 სოფლისგან შემდგარ მუნიციპალიტეტში 7 სკოლაა განლაგებული ისე, რომ ზოგიერთი სოფელი ყველა სკოლისგან საკმაოდ შორს მდებარეობს. სტეფანწმინდის ორივე სკოლას, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანი (წმინდა ილიას გიმნაზია) უფრომეტად კეთილმოწყობილი და აღჭურვილია, ვიდრე სხვა საჯარო სკოლები --როგორც მინიმუმ გააჩნია კომპიუტერული ბაზა, სპორტული მოედანი და გათბობის სისტემა. დანარჩენ სკოლებში, არშას და სიონის გარდა, გათბობისთვის ხის ღუმელებს იყენებენ, ხოლო

სხვა აღჭურვილობაუბრალოდ არ არსებობს. მოსახლეობის დიდი რაოდენობის თბილისში გადინების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ოჯახების მიერ შვილების უკეთეს სკოლებში მიყვანის სურვილი დასახელდა.

რეკომენდაციები

ქვემოთ ჩამოთვლილია საკითხები ჩვენი ანგარიშიდან, რომლებიც, ჩვენი აზრით, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (LAG) ყურადღებას იმსახურებენ.

- საჭიროა ისეთი წამახალისებელი მექანიზმების მოფიქრება, რაც ხელს შეუწყობს ყაზბეგში მხოლოდ ზაფხულობით, ბიზნესის სამართავად ჩამომსვლელი მოსახლეობის მეტი ხნით დარჩენას. ამ კუთხით, კონკრეტულად, შემდეგ საკითხებს უნდა მიექცეს ყურადღება.
 - o სკოლები
 - o სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
 - o სამედიცინო სერვისები
 - o სხვა მუნიციპალური სერვისები
- სეზონური მიგრანტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრამ შესაძლოა რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა გაზარდოს, რაც წაადგება ადგილობრივ ეკონომიკას საზოგადოებას დაეხმაროს.
- უნდა განისაზღვროს როგორ და რა შესაძლებლობებს შექმნის კანონიმაღალმთიან რეგიონებზე და რა მიმართულებით განვითარებაში დაეხმარება ის ყაზბეგის მუნიციპალიტეტს.
- საჭიროა „პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მეთოდოლოგიის“ განვითარებასთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნება, ვინაიდან ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს ადგილობრივი კონსულტაციების როლის გაზრდას ბიუჯეტის მართვის საკითხში
- (წინა კვლევიდან გამომდინარე) ტურიზმის განვითარება საჭიროა ფოკუსირდეს დამატებითი ღირებულების შექმნაზე, სანდო სერვისების უზრუნველყოფაზე და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.
 - o „სტეფანწმინდას გარეთ“ ტურიზმის განვითარებამ შესაძლოა ტურისტული სარგებელი მოუტანოს მთელ მუნიციპალიტეტს და დოვლათი შეიქმნას არა მხოლოდ ცენტრში.
- საყურადღებო საწყისი პრიორიტეტები
 - o ადგილობრივი გზების გაუმჯობესება
 - o ფერმების ტექნიკით უზრუნველყოფა (ან ხელმისაწვდომობა)
 - o საჭიროა მედიკამენტების მეტი ხელმისაწვდომობა
- საჭიროებს უკეთესად გათვითცნობიერებას
 - o სეზონური მიგრაცია
 - o სკოლები
 - o მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი

მეთოდოლოგია

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიმდინარე საკითხებშიდა გამოწვევების დეტალურშიგასათვითცნობიერებლად სხვადასხვა მეთოდები გამოვიყენეთ. მუშაობა დაიწყო 2015 წლის აგვისტოშიდა ჩვენს საწყის ფოკუსს წარმოადგენდა ტურიზმის კვლევა, რაც ასევე დაგვეხმარა ზოგადი წარმოდგენის შექმნაშიდა მოგვცა კარგისიღრმისეული ცოდნა ადგილობრივ საკითხებზე.საბაზისო კვლევა, ტურიზმის კვლევის მსგავსად, ფარავს სრულიად ყაზბეგის მუნიციპალიტეტს, გუდაურისდა კობის საკრებულოების გარდა.¹

კვლევის მეთოდოლოგიის ცენტრალურ ნაწილს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბაზისო გამოკითხვა წარმოადგენს. გამოკითხვა იყო კონფიდენციალური. ჩვენ არ შეგვინახავს რესპონდენტების სახელები, მაგრამ შევინახეთ მათი საკონტაქტო ნომრები. შეგროვილი მონაცემების ხარისხის უზრუნველსაყოფად მოხდა შერჩევითი დარეკვა ზოგიერთ რესპოდენტთან და პასუხების გადამოწმება.

კვლევამ მოიცვა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება (გუდაურის საკრებულოს გარდა). შერჩევამდე არ გვექონდა ინფორმაცია მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის შესახებ, მაგრამ რიცხვი დაახლოებით განვსაზღვრეთ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის, საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის (საქსტატი) მოსახლეობის შესახებ არსებული დამატებითი მონაცემების და 2014 წელს ელკანას მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე. ჩვენ ასევე ჩავედით თითოეულ დასახლებაში და ვიკითხეთკომლების და მოსახლეობის რაოდენობები. კომლების მთლიანი რაოდენობა დაახლოებით 1500-ს შეადგენს. ჩვენ გამოვკითხეთ ჯამში 380 კომლი. 5%-იანი ცდომილების ზღვრის და 95%-იანი სანდოობის ინტერვალის მისაღწევად ჩვენ გვჭირდებოდა მათგან 306-ის გამოკითხვა. თუმცა, გადავწყვიტეთ, ვწვეოდითთითოეულ დასახლებას და პროპორციული შერჩევის მეთოდოლოგია გამოგვეყენებინა.

კითხვარი მარტივი და შედარებით მოკლე იყო, რადგან PiN-ის მიერ მიმდინარე ფარგლებში უკვე ჩატარებულია რამდენიმე კვლევა. ჯეოველ რისერჩს ჩატარებული აქვს ტურიზმის მასშტაბურიკვლევა, ხოლო ელკანამ ჩაატარა კვლევა სოფლის მეურნეობის შესახებ ამან საშუალება მოგვცა, რომ ჩვენს საბაზისო კვლევაში არ დაგვეხარჯა დრო ტურიზმის და სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მაგრამ ორივე საკითხი სხვა წყაროების გამოყენებით დაფარულია განვითარების ზოგად

¹გუდაური მიმდინარე შეფასებიდან ამოვიღეთ ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ყაზბეგის დანარჩენი მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, გუდაური ზამთრის სათხილამურო კურორტია. შესაბამისად, კვლევის ზაფხულში ჩატარება რეგიონის და მისი ეკონომიკური აქტივობის შესახებ მწირ წარმოდგენას შექმნიდა. მეორე რიგში, მაშინ, როდესაც გუდაური ფორმალურად ყაზბეგს ეკუთვნის, მასზე შეგვიძლია ვიფიქროთ, როგორც სრულიად განცალკევებულ ერთეულზე, ვინაიდან, ყაზბეგისგან განსხვავებით, მას გააჩნია საკმაოდ განვითარებულიტურისტული ინფრასტრუქტურა და კომერციულად მაღალი ტურისტული აქტივობა. შესაბამისად, რეგიონში გუდაურის როლის მიმოხილვის მიზნით, განცალკევებულ კვლევას ჩავატარებთ 2016 წელს.

მიმოხილვაში. საველე სამუშაოებმა 2015 წლის 22 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე გასტანა.

ინტერვიუერებისგუნდი შედგებოდა გამოცდილი მკვლევარებისგან და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრებისგან, რომელთაც სათანადო ტრენინგები ჩაუტარდათ. გამოცდილი მკვლევარი რეგულარულად ატარებს კვლევებს სხვა ორგანიზაციებისთვის, მათ შორის საქსტატისთვის. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრები კვლევაში ჩართულნი იქნენ როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში წვრთნის მიზნით, ისე ადგილობრივი საზოგადოების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის შესასწავლად. ამ კვლევაში მონაწილეობით ისინი ასევე საბოლოო პროდუქტის თანამონაწილეები გახდნენ. საველე სამუშაოებისთვის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრების გამოყენება მონაცემების დროული შეგროვების და ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას გულისხმობდა. ერთის მხრივ, ძალიან სასარგებლო იყო ადგილობრივი ინტერვიუერების ყოლა იმ დასახლებებში, სადაც ჩვენი გამოკითხვა ჩატარდა, ვინაიდან ეს დაგვეხმარა ამ დასახლებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებაში. მეორეს მხრივ, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ყველა წევრს არ ჰქონდა კვლევის ჩატარების ინტერესი და უნარისთანაბარი დონე, რაც ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ მეტი დრო და ძალისხმევა უნდა ჩაგვედო იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინფორმაცია სათანადოდ ყოფილიყო მოპოვებული. ასევე, კვლევის დრო უნდა დამთხვეოდა ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრების ხელმისაწვდომობას, რამაც გარკვეული გადავადებები გამოიწვია. ყველაფრის მიუხედავად, იმასთან ერთად, რომ ამ სტრატეგიამ შესაძლოა, კვლევის პროცესი ზოგადად შეანელა, ჩვენ კვლავ გვჯერა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, რაც საბოლოოდ სარგებელს მოუტანს პროექტის მიზნებს.

გამოკითხვასთან ერთად ჩვენ ასევე შევავროვეთ მონაცემები სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებებისგან. ინფორმაცია ყაზბეგის ბიუჯეტის შესახებ მოპოვებულ იქნა საჯაროდ ხელმისაწვდომ საკანონმდებლო ბაზიდან „მაცნე“ (2015-სთვის) და, ასევე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფეისბუქის გვერდიდან (2016). „მაცნე“-ზე ასევე შევძელით შესაბამისი კანონების მოპოვება. რაც შეეხება სხვა სახელმწიფო დოკუმენტებს, რეგიონული განვითარების სტრატეგიამოვიპოვეთ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MRDI) ვებ-გვერდიდან. ინფორმაცია მიწის რეგისტრაციაზე მოვიპოვეთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (NAPR) ვებ-გვერდიდან და, ასევე, მეორადი წყაროებიდან, როგორცაა საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI). დემოგრაფიული მონაცემები მოვიპოვეთ საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის ბაზებიდან. მონაცემები სოციალური დახმარების შესახებ, როგორცაა პენსიონერების რაოდენობა ან მიზნობრივი სოციალური დახმარების მქონე პირთა რაოდენობა, მოვიპოვეთ სოციალური სერვისების სააგენტოსგან (SSA). ინფორმაცია სკოლების შესახებ მოვიპოვეთ განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან.

ჩვენ ვაწარმოებდით მუდმივ კომუნიკაციას PiN-ის და ელკანას პროექტის თანამშრომლებთან ყაზბეგში. ჩვენ დავესწართ PiN-ის საწყის სათემო შეხვედრებს ვარდისუბნის, სიონის, გარბანის, არშას და ჯუთას სოფლებში, რამაც საშუალება

მოგვცა, პირველადი ინფორმაცია მოგვეპოვებინასაველე სამუშაოების დაწყებამდე. ტურიზმის კვლევის განმავლობაში ჩვენ ასევე ვესაუბრეთ ყაზბეგში არსებულ 60-ზე მეტ ბიზნესს და ყაზბეგის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 6 საკრებულოდ: ყაზბეგი, გორისციხე, სიონი, სნო, კობი და გუდაური. ოფიციალურად, მუნიციპალიტეტში არის 47 სოფელი, თუმცა მხოლოდ 25 მათგანს ჰყავს მუდმივი მოსახლეობა. ჩვენი მიმდინარე კვლევა ფარავს თითოეულ მათგანს, გუდაურის საკრებულოს გარდა (რომელიც მოიცავს 4 სოფელს).

ყაზბეგის საკრებულო მოიცავს დაბასტეფანწმინდას (ადმინისტრაციული ცენტრი დაახლოებით 500-50 მუდმივად მაცხოვრებელი კომლით), გერგეტის არეალს (120 კომლი) და რუსეთის საზღვართან ახლოს მდებარე 2 პატარა სოფელს - ცდო (5 კომლი) და გველეთი (1 კომლი).²

სტეფანწმინდა თბილისიდან დაშორებულია 150 კილომეტრით, ანუ დაახლოებით 2.5-3 საათის გზით. იგი ასევე მდებარეობს 12 კილომეტრის, ანუ 10 წუთის გზაზე რუსეთის საზღვრიდან და 45 კილომეტრის, ანუ დაახლოებით 1 საათის გზაზე (საზღვრის გადაკვეთისთვის საჭირო დროის გამოკლებით) ვლადიკავკაზიდან, რომელიც ჩრდილო ოსეთის რეგიონალურ დედაქალაქს წარმოადგენს.

სტეფანწმინდა და გერგეტი საგრძნობლად განსხვავდება ყაზბეგის სხვა დასახლებებისგან. თუკი ყაზბეგის მოსახლეობა ძალიან არის დამოკიდებული მცირე, მხოლოდ არსებობისთვის საკმარის სოფლის მეურნეობაზე, სტეფანწმინდისა და გერგეტის მოსახლეობა დიდ სარგებელს ნახულობს სწრაფად მზარდი ტურიზმის სექტორიდან. სთავაზობენ ტურისტებს დიდი რაოდენობით საცხოვრებლებს და სხვა ტურისტულ სერვისებს. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა ძირითადი ეკონომიკური აქტივობა თავმოყრილია სტეფანწმინდაში, მათ შორის საკრებულო და გამგეობა, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობები, სკოლები, რესტორნები და სხვა ბიზნესები, რომლებიც ძირითადად ტურიზმთან არის დაკავშირებული.

თბილისისა და სტეფანწმინდას დამაკავშირებელი მთავარ ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალს „სამხედრო გზას“ უწოდებენ. გზის სიგრძე 136 კილომეტრს შეადგენს და საქართველოს მთავარ აღმოსავლეთ-დასავლეთ

²საქსტატის ოფიციალური დემოგრაფიული მონაცემები საჯარო გახდება 2016 წლის გაზაფხულზე. ჩვენს ინტერვიუერებს ვთხოვეთ დემოგრაფიული მონაცემების შეგროვება იმ დასახლებებში, სადაც მუშაობდნენ. შემდეგ ჩვენი მონაცემები შევადარეთ საქსტატის 2002 წლის მონაცემებს და ელკანას მიერ 2014 წლის (გამოუქვეყნებელ) კვლევას და გადავხედეთ მონაცემებს.

მაგისტრალს(თბილისთან ახლოს) რუსეთის საზღვართანაკავშირებს. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალსაქვს სამი მონაკვეთი. პირველი დაახლოებით 90 კილომეტრის სიგრძისაა და თბილისს აკავშირებს მთავარ სათხილამურო კურორტ გუდაურთან. მეორე 35 კილომეტრია და აკავშირებს გუდაურსა და სტეფანწმინდას. ხოლო მესამე შეადგენს 10 კილომეტრს სტეფანწმინდიდან რუსეთის საზღვრამდე. ბოლო მონაკვეთი უკანასკნელ დრომდე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. რამდენიმე წლის წინ სტეფანწმინდამდე 35 კილომეტრის დაფარვას მეტი დრო შეიძლება დასჭირვებოდა, ვიდრე 90 კილომეტრის დაფარვას თბილისიდან გუდაურამდე.

თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში, გზის გუდაურის შემდგომი მონაკვეთი საგრძნობლად იქნა რეაბილიტირებული. ასე რომ, კარგი ამინდის პირობებში გუდაურიდან სტეფანწმინდის გზის დაფარვა ერთ საათზე ნაკლებ დროში არის შესაძლებელი. თუმცა, ზამთარში იშვიათი არ არის გუდაური-კობის გზის სეგმენტის, რომლის ნაწილიც ზღვის დონიდან 2,400 მეტრზე მაღლა მდებარეობს, თოვლის გამო ჩახერგვა. მძიმე ტექნიკა უმეტესად სწრაფად წმენდს გზას, მაგრამ ვერ ხდება გზების გაწმენდა ისეთი სოფლებისთვის, როგორებიცაა ცდო და ჯუთა, შესაბამისად მათი მოსახლეობა თვეების განმავლობაში ამ დასახლებებში იკეტება.

„სამხეხდრო გზა“ და ლარსის სასაზღვრო პუნქტი რუსეთთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზაა. შემოსული ტრანსპორტის მონაცემების მიხედვით, 2012 წელს საქართველოში შემოსული რაოდენობა 921 ათასი იყო, საიდან 91 ათასი ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის საშუალებით შემოვიდა.³ მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს ოფიციალური სტატისტიკა ბოლო წლების შესახებ, ლარსიდან შემოსული ტრანსპორტის რაოდენობა კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო, თუ გავითვალისწინებთ რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის და თანამშრომლობის ბოლო წლების მზარდ დინამიკას. ეს გზა ასევე მნიშვნელობანია სომხეთისთვის, რადგან ის რუსეთთან ხმელთით დამაკავშირებელი ერთადერთი გზაა. ერთი მხრივ, გაზრდილი სატრანზიტო ფუნქცია გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ჩვენ რამდენიმე ადგილობრივი ვნახეთ, რომლებსაც ჩქარა მოძრავა სატვირთო მანქანებმა პირუტყვი დაუხოცეს გზაზე. მეორე მხრივ, ზამთარში, ყაზბეგი ხშირად იკეტება დიდთოვლობის გამო და მძღოლები ქირაობენ ადგილობრივ ბინებს და ყიდულობენ ადგილობრივ საკვებს.

სიონი სტეფანწმინდისშემდეგ უდიდესი საკრებულოა. ის საკმაოდ ახლოს არის სტეფანწმინდასთან და ოდნავ უკეთესიეკონომიკური პოტენციალი აქვს სხვა საკრებულოებთან შედარებით. იგი მოიცავს 3 შედარებით დიდ სოფელს, რომლებიც სამხედრო გზასთან ახლოს მდებარეობენ, 2 პატარა სოფელს და 2 სოფელს რომელთაც არ ჰყავთ მუდმივი მოსახლეობა. დიდი სოფლებია: სიონი (80 მუდმივი კომლი), არშა (90 კომლი) და გარბანი (100 კომლი).პატარა სოფლებია: ვარდისუბანი (მდებარეობს გზატკეცილზე 12 კომლით) და ფანშეტი (მდებარეობს

³ეს მონაცემები შეგროვებულია ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ. ყველაზე ბოლო მონაცემები შემოსულ ტრანსპორტთან დაკავშირებით 2012 წლიდანაა. დეტალური მონაცემების ნახვა შეიძლება ტურიზმის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკურ პორტალზე: <http://stats.georgia.travel/Default.aspx>

გზატკეცილიდან მოშორებით 15 კომლით). 2 სოფელი, რომელთაც აღარ გააჩნიათ მუდმივი მოსახლეობა: გაიბოტენი და თოთი.

სნოს საკრებულო მდებარეობს მთავარი გზიდან ოდნავ მოშორებით, ჯუთასკენ მიმავალ გზაზე, ხოლო მისი პირველი სოფელია აჩხოტი. თუკი აჩხოტი (50 კომლით) ფაქტიურად გზატკეცილზე მდებარეობს და მისგან 3 კილომეტრის მანძილზე კარგი გზა მიემართება სნოს სოფლისკენ (80 კომლი), სნოს ხეობის სხვა სოფლებამდე მიღწევა ზამთარში საკამოდ რთული შეიძლება იყოს: ახალციხე (19 კომლი), კარკუჩა (18 კომლი) და ჯუთა (12 კომლი). სოფლებს ართხმოს და ქოსელს აღარ ჰყავთ მუდმივი მოსახლეობა.

ზაფხულში ჯუთა არის მნიშვნელოვანი ტურისტული დანიშნულების ადგილი. მთავარი გზიდან დაახლოებით 30 წუთია საჭირო ჯუთამდე მისაღწევად, თუმცა მანძილი მხოლოდ 15 კილომეტრს შეადგენს. ამის მიზეზია სნოს შემდეგ გზის ცუდი მდგომარეობა. სნო ცნობილია, როგორც პატრიარქ ილია II-ის დაბადების ადგილი, სადაც მდებარეობს პატრიარქის დიდი საცხოვრებელი რეზიდენცია.

გორისციხის საკრებულო ზოგადად შორს არის სტეფანწმინდიდან და გზატკეცილიდან. ყველაზე დიდი სოფლებია გორისციხე (65 კომლი), ფხელშე (40 კომლი), ტყარშეტი (30 კომლი), ყანობი (25 კომლი) და ხურცისი (19 კომლი).

კობის საკრებულო მოსახლეობისგან ყველაზე მეტად დაცლილი საკრებულოა ყაზბეგში. 18 სოფლიდან მხოლოდ ორს ჰყავს მუდმივი მოსახლეობა: კობი (3 კომლი) და ალმასიანი (8 კომლი). ძირითადი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ამ ადგილებში ცხოვრობდა, ეთნიკური ოსები იყვნენ.

ყაზბეგის მოსახლეობის დემოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა

ყაზბეგისთვის სეზონურიმიგრაციაა დამახასიათებელი. მეტიც, სხვადასხვა გათვლებით, მოსახლეობის თითქმის 40% ტოვებს ყაზბეგს სეზონურად. თუმცა კვლევის მონაცემებით მიხედვით, სეზონური მიგრაციის გაცილებით დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება. ეს ნიშნავს, რომ სეზონური მიგრაციის დეტალურად შესასწავლად დამატებითი კვლევა არის საჭირო. მიგრაცია მეტად დამახასიათებელია მშობლებისთვის, სკოლის ასაკის ბავშვებით, რაც უკავშირდება შვილებისთვის მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფას.

ყაზბეგში სეზონურიმიგრაციაში შეიძლება ერთგვარად პოზიტიურ ჭრილშიც იქნას განხილული. ტურიზმის განვითარების შემდეგ ძალიან ბევრი სეზონური მიგრანტი დაბრუნდა საკუთარ სახლში. დაბრუნებული მოსახლეობის უმეტესობამ საოჯახო სასტუმრო გახსნა. ოჯახის წევრების ნაწილი ზაფხულის განმავლობაში საცხოვრებლად ყაზბეგში რჩება, ხოლო ზამთრის განმავლობაში კვლავ თბილისში ბრუნდება.

საინტერესოა, რომ ზამთარში სტეფანწმინდაში დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება გადაჭარბებული იყოს, რაც უკავშირდება 2015 წლის მთავრობის ახალ საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის თანახმადაც გარკვეული ფინანსური დახმარება ენიშნებათ მაღალმთიანი რეგიონის მუდმივ მაცხოვრებლებს. ახალი საკანონმდებლო რეგულაციის თანახმად, მაღალმთიან რეგიონში მუდმივ მაცხოვრებლად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც მინიმუმ 9 თვეს ატარებს ყაზბეგში. თუმცა, კვლევის პროცესში ჩვენ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ კატეგორიის მოსახლეობიდანაც, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდგომას და ზამთარს ძირითადად თბილისში ატარებს.

ყაზბეგში მკვეთრი განსხვავებაა ცენტრისა და სოფლების მაცხოვრებლების რაოდენობებს შორის. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 1,500 კომლია, რომლის დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს დაბა სტეფანწმინდასა (500-550 შინამეურნეობა) და გერგეტში (120 შინამეურნეობა).

რაც შეეხება კომლების ზომას, როგორც წესი, განსხვავება საკმაოდ დიდია. ხშირად შევხვედრილვართ ერთი წევრისგან შემდგარ კომლს, მაგრამ 11 წევრიანიც გვინახავს. გამოკითხვის მიხედვით, ყაზბეგში კომლების წევრების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 3.5 ერთეულია. კვლევის მონაცემების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა, რომელიც არ ცხოვრობს ყაზბეგის რეგიონში, მიეკუთვნება 19-25 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. როგორც წესი, მათი უმრავლესობა თბილისში სასწავლებლად არის წასული.

სოციალური მომსახურების სააგენტოს თანახმად, ყაზბეგში დაახლოებით 900 პენსიონერია, რაც დაახლოებით რეგიონის მუდმივი მაცხოვრებლების ¼-ს უტოლდება. მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა შედარებით მაღალია და დაახლოებით 1000-ს უტოლდება (450 კომლი). ეს ნიშნავს, რომ ყაზბეგის კომლების 30% მიზნობრივი სოციალური დახმარებას იღებს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. თავისთავად ცხადია, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა მაღალი რაოდენობა სიღარიბის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს, თუმცა ასევე ხაზს უსვამს დახმარების მნიშვნელოვნებაზე მაღალმთიან რეგიონებში.


ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების თანახმად, ყაზბეგში 86 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი აღირიცხება. ყაზბეგში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ან არ არსებობს ან სუსტად არის განვითარებული.

ცხრილი 1: ზრდასრული მოსახლეობის განათლების პროფილი ყაზბეგში

უმალესი განათლება ან ამჟამად სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში	45%
პროფესიული განათლება	29%
საშუალო განათლება	26%

საინტერესოა, რომ მოსახლეობის სამეოთხედს მიღებული აქვს სკოლის შემდგომი განათლება. ამ ჯგუფის 1/3-ს აქვს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი. აქვე უნდა ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობით გამოკითხულთა შორის საკმაოდ მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც პროფესიულ სასწავლებელში სწავლობს. სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირის პერიოდში ყაზბეგის მოსახლეობას მეტი საშუალება ჰქონდა ესწავლა პროფესიულ სასწავლებლებში.


დიაგრამა 2: პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტები ასაკობრივ ჯგუფში



თუ შევხედავთ პროფესიული განათლების მქონე ადამიანების ასაკობრივ განაწილებას, 80%-ზე მეტი არის 36 ან მეტი წლის. ამჟამად, არათუ ყაზბეგში, არამედ არც მთლიანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პროფესიული სასწავლებელი არ არსებობს. ყველაზე პოპულარული პროფესიები, რომლებსაც ყაზბეგის მაცხოვრებლები ეუფლებოდნენ, არის: ბულალტერია, მედიცინა (ექთნების ჩათვლით), მშენებლობასთან დაკავშირებული სპეციალობები, მანქანის ხელოსნობა და მეცხოველეობა.

როგორც მოსალოდნელია, მაღალი განათლების მოსახლეობაში დასაქმების დონე, შედარებით, უფრო მაღალია. ქვემოთ მოცემულია დეტალური განაწილება და ახსნა.

დიაგრამა3: დასაქმების მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით



მონაცემები გვაჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების მქონეთა 58% დასაქმებულია ყაზბეგში. არასრული უმაღლესი განათლებაც კი, როგორც ჩანს, უკეთესია სამსახურის მოსაძებნად, ვიდრე პროფესიული ან საშუალო განათლება. ერთი მხრივ, ბუნებრივია, რომ დამსაქმებლებს ურჩევნიათ უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომლები, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მთავარი დამსაქმებლის სპეციფიკა მოითხოვს უმაღლეს განათლებას (მაგალითად, სკოლები და ბანკები). პროფესიული/ტექნიკური განათლების მქონეთათვის მსხვილი დამსაქმებლები არიან ბენზო-გასამართი სადგური, სასტუმრო (რუმსი), სასწრაფო დახმარება და სასაზღვრო პოლიცია.

ყაზბეგის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები და კანონმდებლობა

2015

